

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ერთი მხრივ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, \_\_\_\_\_ (იურიდიული მის: \_\_\_\_\_) წარმოდგენილი - \_\_\_\_\_ სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შემსყიდველის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) (M2 კატეგორიის ავტობუსების სახელმწიფო შესყიდვა) საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ტერმინთა განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) - ორგანიზაცია, რომელიც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხებით ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას.
- 1.2. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (NAT\_\_\_\_\_).
- 1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული და მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული, ტენდერისათვის წარმოდგენილი ყველა დოკუმენტით, მათ შორის:
  - 1.3.1 დანართი №1 - ტექნიკური დავალება;
  - 1.3.2 დანართი №2 - ფასების ცხრილი;
  - 1.3.3 დანართი №3 - საქონლის საგარანტიო ვადა;
  - 1.3.4 დანართი №4 - ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის შესახებ;
  - 1.3.5 დანართი №5 - ფლობის ღირებულება;
  - 1.3.6 ხელშეკრულების შესრულების გარანტია.
- 1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**2. ხელშეკრულების საგანი**

- 2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ M2 კატეგორიის ავტობუსების (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა.
- 2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 34100000;
- 2.3 მისაწოდებელი საქონლის დასახელება, ზომის ერთეული, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №2-ის შესაბამისად.
- 2.4 შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარემო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

- 3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დანართი №2-ის შესაბამისად და შეადგენს ----- -- (-----) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახადელებს (გარდა დღგ-სი).

**4. საქონლის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი**

- 4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:
- 4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული ტერიტორია (DAP). შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება DAP პირობით არარეზიდენტი ფირმის შემთხვევაში, ხოლო რეზიდენტი ფირმის შემთხვევაში DDP პირობით.
- 4.3 მიწოდების ადგილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული ტერიტორია. შესყიდვის ობიექტს უნდა ახლდეს შემდეგი დოკუმენტები:
  - მიმწოდებლის ინვოისი, რომელიც აღწერს საქონელს, მის რაოდენობას, ერთეულის ფასს და საერთო ღირებულებას;
  - სატრანსპორტო დოკუმენტი/ზედნადები;
  - კომპლექტაციის ჩამონათვალი, რომელიც ახდენს თითოეული შესყიდვის ობიექტის შემადგენლობის იდენტიფიცირებას;
  - მწარმოებლის/მიმწოდებლის საგარანტიო სერთიფიკატი;
  - წარმოშობის სერთიფიკატი;
  - ხარისხის სერთიფიკატი;
  - შესაბამისობის სერთიფიკატი და ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის (Type approval) დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მიწოდების ვადებში დაფიქსირებული პირობების შესაბამისად.
- 4.4 მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს ყველა დანახარჯი (ფინანსური სანქცია, შენახვით გამოწვეული დანახარჯები და ა.შ.) რისი მიზეზიც გახდება მომწოდებლის მიერ 4.3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის დაგვიანებით მოწოდება.

**5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 5.1 მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

- 5.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: \_\_\_\_\_ (შემდგომში „ინსპექტორების ჯგუფი“).
- 5.3 ინსპექტორების ჯგუფის ფუნქციებია:
- 5.3.1 გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;
- 5.3.2 დაადგინოს მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
- 5.3.3 გააფორმოს მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტი და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
- 5.3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტორების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა.

## 6. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

- 6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება სრულიად ახალი (არ იქნება ექსპლუატაციაში ნამყოფი), ხარისხიანი და შესაბამემა ტექნიკურ დავალებას (დანართი №1).
- 6.2 ავტობუსზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ----- წელი ან ----- კმ გარბენზე, რომელიც უფრო ადრე დადგება, სრულ ავტობუსზე, გარდა სწრაფგვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრიზი, ფრეონი, საბურავები, ელექტრონათურები, ელექტრომცველები, შუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადამბულობის ქურო, გადაცემათა კოლოფის მოჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადამბულობის დისკი და საყრდენი დისკი).
- 6.3 მიღების დროს შესყიდვის ობიექტის მიერ გამოვლენილი წუნის/ხარვეზის/დეფექტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით (მ.შ. ტრანსპორტირების ხარჯი), შეაკეთოს ან ახლით შეცვალოს წუნის/დეფექტის/ხარვეზის მქონე საქონელი, არაუმეტეს 60 კალენდარული დღის ვადაში. წუნის/ხარვეზის/დეფექტის შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.
- 6.4 შესყიდვის ობიექტის სრული გარანტიის მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ყველაწირი დეფექტი ან დაზიანება უნდა გამოსწორდეს ავტორიზებულ სერვის-ცენტრში, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, 6 (ექვსი) კალენდარული დღის განმავლობაში. ავტობუსის სრული გარანტიის მოქმედების გასვლის შემდეგ, გარანტია სხვადასხვა კომპონენტების სერვისზე უნდა განხორციელდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს ყველა სახის ხარჯი ნებისმიერი დეფექტური ნაწილის მოწოდებასა და შეცვლაზე და სრულად შეასრულოს საგარანტიო პირობებით დაკისრებული ვალდებულება.
- 6.5 მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.
- 6.6 შემსყიდველს ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს წუნდებული საქონლის მიღებაზე.

## 7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

- 7.1 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
- 7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
- 7.3 მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.
- 7.4 საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მიწოდების ადგილზე.
- 7.5 საქონლის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 8. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

- 8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაადლო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.
- 8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
- 8.3. ტენდერში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ავანსის მექანიზმი, არაუმეტეს სახელშეკრულებო თანხის 100%-ისა, მხარეთა მიერ წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.
- ავანსის შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
- შემსყიდველი ავანსის სახით ურიცხავს მიმწოდებელს მთლიანი სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 100%-ს, შესაბამისი თანხის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის (გაცემული მხოლოდ საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მიერ)
- წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, რომლის დაფარვა მოხდება ეტაპობრივად. მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულებიდან დაუკავდება თანხის ის პროცენტული ოდენობა, რამდენი პროცენტიც აქვს აღებული ავანსად.
- საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
- უცხოური ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია დამოწმებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ლიცენზირებული ბანკის მიერ.
- 8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ასანაზღაურებელი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.
- 8.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გადასახდელის (გარდა დღგ-სი) გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
- 8.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელთან ხელშეკრულება გაფორმდება უცხოურ ვალუტაში (ევრო/აშშ დოლარი), ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი), გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი (დაფიქსირებული) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

## 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 9.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.
- 9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:
  - 9.2.1 განახორციელოს ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
  - 9.2.2 ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;
- 9.3 შემსყიდველი ვალდებულია:
  - 9.3.1 მიიღოს მოთხოვნილი საქონელი;
  - 9.3.2 მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად;
  - 9.3.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;
- 9.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
  - 9.4.1 მოითხოვოს შემსყიდველისგან მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
  - 9.4.2 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად;
- 9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:
  - 9.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;
  - 9.5.2 საქონლის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად;
  - 9.5.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ განახორციელოს ქმედებები აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორებისათვის;
  - 9.5.4 შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;
  - 9.5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

### **10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

- 10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.
- 10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

### **11. ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 11.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
  - 11.1.1 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
  - 11.1.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
  - 11.1.3 საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 11.2 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:
  - 11.2.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
  - 11.2.2 მიმწოდებელი სისტემატურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
  - 11.2.3 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;
  - 11.2.4 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
  - 11.2.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 11.3 ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად შეწყვეტილად, თუ 12.3 და 12.4 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული და მიმწოდებლის მხრიდან აუნაზღაურებელი პირგასამტეხლოს ჯამური თანხა, გადააჭარბებს საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის 95 პროცენტს.

### **12. მხარეთა პასუხისმგებლობა**

- 12.1 მხარეები იღებენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 12.2 შემსყიდველი პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 12.3 მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის. ასეთი დარღვევის არსებობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 12.4 თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის პერიოდში არ განახორციელებს წუნდებული საქონლის შეცვლას, ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესაბამისად, დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით წუნდებული საქონლის ღირებულების 0.2 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
- 12.5 ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

### **13. ფორს-მაჟორი**

- 13.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების

- პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
- 13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და ა.შ.
- 13.3 მხარე, რომელიც ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
- 13.4 ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
- 13.5 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

#### 14. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 14.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულია მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო თანხის --- პროცენტის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ნაკლები (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით აღემატება საქონლის მიწოდების საბოლოო ვადას).
- 14.2 შემსყიდველის მიერ აღნიშნული საბანკო გარანტიის გამოყენების და დაბრუნების პირობები მოცემულია ხელშეკრულების 14.3 და 14.4 პუნქტებში.
- 14.3 შემსყიდველი უფლებამოსილია საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში მიმართოს გარანტს და მოითხოვოს საბანკო გარანტით განსაზღვრული თანხის გადახდა თუ:
- 14.3.1. ხელშეკრულება შეწყდა 11.1 და 11.2 პუნქტის შესაბამისად;
- 14.3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.
- 14.4. საბანკო გარანტია მიმწოდებელს დაუბრუნდება:
- 14.4.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისას;
- 14.4.2. ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას, თუ ამ გარემოებების დადგომამდე, მიმწოდებლის მიერ სრულად არის შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

#### 15. დავების გადაწყვეტა

მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

#### 16. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 16.1 ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
- 16.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 16.3 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომრებაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.
- 16.4 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარსს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

#### 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 17.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ----- წლის ----- ჩათვლით (გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტებისა).
- 17.2 ხელშეკრულების მე-6 და 12.4 პუნქტები ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

#### 18. მხარეთა რეკვიზიტები

**„შემსყიდველი“**

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788  
იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2  
ტელ: (995 32) 2 93 50 50.  
სს თიბისი ბანკი  
ა/ა GE67TB7931836070100001; ბანკის კოდი: TBCBGE22

**„მიმწოდებელი“**

საიდენტიფიკაციო ნომერი: \_\_\_\_\_  
იურიდ. მის: \_\_\_\_\_  
ტელ: (995 32) \_\_\_\_\_.  
ა/ა \_\_\_\_\_; ბანკის კოდი: \_\_\_\_\_  
ელ. ფოსტა: \_\_\_\_\_